პრეს-რელიზი

საპილოტე ბიზნეს მოდელის პრეზენტაცია

27 მაისს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის IV საერთაშორისო სამიტის „ეთნოფესტი 2022“ - ის საპილოტე ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია გაიმართა. ტურიზმზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელი შემუშავდა PRO EXTOUR 1145 პროექტის ფარგლებში, „კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში”, რომელიც თანა დაფინანსებულია ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტის **(ENI)** და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. PRO EXTOUR-ის მიზანია ხელი შეუწყოს ზღვის რეგიონში გამოცდილებაზე დაფუძნებული ტურიზმის მდგრად განვითარებას, ადგილობრივი კულტურისა და მემკვიდრეობის, ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პოტენციალის გაძლიერებით.

პროექტის ფარგლებში ბიზნეს მოდელზე იმუშავეს თბილისის გამოცდილებითი ტურიზმის ჰაბის მოხალისეებმა, რომლებიც შეირჩნენ კონკურსის საფუძველზე. „ეთნოფესტი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ სანახაობას, რომელიც გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ის თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული ღონისძიებაა, რომელმაც უკვე ტრადიციული სახე მიიღო. აღნიშნული ღონისძიება თავისი არსით ხელს უწყობს ადგილობრივი მეწარმეების პოპულარიზებას და ახალი ტურისტული სივრცის შექმნას. შესაბამისად, სწორად აღნიშნული ღონისძიება შეირჩა სადემონსტრაციო ბიზნეს მოდელის მოსამზადებლად, რომელიც სამომავლოდ ნიმუშად გამოდგება სხვა ადგილობრივი ფესტივალების ორგანიზებისთის.

მონაწილეებმა შეიმუშავეს ერთობლივი სადემონსტრაციო ბიზნეს გეგმა გამოცდილებითი ტურიზმის აქტივობისთვის. რამდენიმე თვის მანძილზე მათ უწევდათ ჰაბში და ასევე დისტანციურად შერჩეულ იდეაზე მუშაობა. მოხალისეებს მუშაობის პროცესში დახმარებას უწევდნენ ჰაბის თანამშრომლები და მენტორები. მონაწილეებმა მოამზადეს საკომუნიკაციო გეგმა, მარკეტინგული სტრატეგია, ბრენდინგის კონცეფცია და ინოვაციური ელემენტები შესძინეს ფესტივალს, რაც ხელს შეუწყობს ფესტივალის გამრავალფეროვნებას და ცნობადობის ამაღლებას.

ბიზნეს მოდელის შემუშავების შემდეგ, შედგა მისი საჯარო პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ უშუალოდ ფესტივალის მონაწილეები, აკადემიური სფეროსა და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები, რათა შემდგომ აღნიშნული პროდუქტის პრაქტიკაში დანერგვა და მისი ტურისტებისთვის შეთავაზება მოხდეს. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა, ბიზნეს მოდელის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა კითხვა-პასუხი, სადაც პროქტის მონაწილეებმა უფრო დეტალურად ისაუბრეს ბიზნეს მოდელის კომპონენტებზე.